N გ-21-03/2562
07/09/2021

2562-გ-21-03-2-202109071010

მოქალაქე: ნიკოლოზ მანაგაძეს
ასლი: მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის
მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ სოფიო ჯაფარიძეს

შეტყობინება

როგორც თქვენთვის ცნობილია 2021 წლის 2 სექტემბერს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 9 სექტემბერს, 15:00 საათზე. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) მოსამზადებელ სხდომაზე განიხილება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მომართვის (N21-10-1525, 20/08/2021) საფუძველზე, შპს „მაგთიკომის“ წინააღმდეგ მომხმარებელ ნიკოლოზ მანაგაძის საჩივრების (Nშ21-9/2933, 9.07.2021 და Nშ-21-9/3236, 30.07.2021) განსახილველად მიღების საკითხი.

გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების მასალას - შპს „მაგთიკომთან“ გაგზავნილ კომისიის წერილს (N გ-21-03/2506, 31/08/2021) და შპს „მაგთიკომის მიერ წარმოდგენილ წერილს (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-21-6/3944, 02.09.2021) თანდართული მასალით.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ან უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

1. კომისიის წერილი შპს „მაგთიკომს“ (N გ-21-03/2506, 31/08/2021) – 1.ფურც.;

2. შპს „მაგთიომის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის N შ-21-6/3944, 02.09.2021) თანდართული დოკუმენტაციით (ნიკოლოზ მანაგაძესთან გაფორმებული ხელშეკრულება) – 4 ფურც.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია